



## ბრძანება N 35

„17“ 10 2016 წელი

ქ. თბილისი

**მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯუფის წინადადების გასაჩივრებისთვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის N714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული სქემისა და „მასწავლებლის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

### ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯუფის წინადადების გასაჩივრებისთვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმა დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში - საგანმანათლებლო რესურსცენტრებში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 2016 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - [tpdc.gov.ge](http://tpdc.gov.ge) განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

მანანა რატიანი

დირექტორის მოადგილე



დავით ბურჭულაძე



ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

ეკატერინე შარაშენიძე



უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი

თეონა კაპანაძე

იურისტი

